

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ფიზკულტურელის საკავშირო დღეა

გაუმარჯოს ჩვენი სამშობლოს ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებს!

ნახატი გ. იაშვილისა

ახალი მიჯნა — ახალი წარმატებები

ლ. სანაძე,
საქართველოს სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ЛЕЛО

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-20 წელი

№ 155 (2518) ● შაბათი, 8 აგვისტო, 1964 წ. ● ფასი 3 კაპ.

ფიზიკურ ფაფარ ... ფიზიკურ ... ფიზიკურ ... ფიზიკურ

უანგარო მწვრთნელი

სოფლის კოლტეხაში

სოფელ კოჩარაში, რომელიც ოჩამჩირეს 27 კილომეტრითაა დაცილებული, მხნე და გამრჯე ადამიანები ცხოვრობენ. ამას წინათ მათ ჩაის კრეფის სახელმწიფო გეგმა შეასრულეს და ახალი ვალდებულებები აკისრეს. კოლმეურნეობა „საქართველომ“, რომელშიც გაერთიანებული არიან კოჩარელები, თავი გამოიჩინა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებაში.

ამ სოფელში ყველა იცნობს სპორტის ერთ-ერთ მესვეურს აკაკი გელაშვილს, რომელიც უკვე 11 წელია ფიზიკურ აღზრდის მასწავლებლად მუშაობს საშუალო სკოლაში. ვისაც არ უნდა ჰკითხოთ მასზე, ყველა პატივისცემით იხსენებს „ჩვენს კაკოს“...

მუყაითმა მასწავლებელმა საზოგადოებრივ საწყისებზე ჩამოაყალიბა ფეხბურთის, კალათბურთისა და ფრენბურთის სექციები. გულმოდგინე წვრთნამ მალე გამოიღო შედეგი: ფრენბურთელი გოგონები რაიონის ჩემპიონები გახდნენ. მათ არც ფეხბურთელები ჩამორჩნენ, ხოლო კალათბურთელები მეორე ადგილზე გავიდნენ.

— კაკოს ინიციატივითა და მოწადინებით,— ამბობს კოჩარას კულტურის სახლის დირექტორი ა. პაპავა, — სოფელში აღორძინდა ქართული ჭიდაობა.

ეს მართლაც ასეა. ათიოდე წლის წინათ, აფხაზეთის პირველობაზე ოჩამჩირის რაიონი სოფელ კოჩარას ფალავნებით წარსდგა. მოხდა მოულოდნელი ამბავი: კოჩარელებმა მეორე ადგილი დაიკავეს. ამან სხვა ბიჭებიც. ააგულიანა და ქართულმა ჭიდაობამ სოფელში ღრმად გაიდგა ფესვები. ახალგაზრდები ა. გელაშვილის ხელმძღვანელობით მეცადინეობდნენ ღია ცისქვეშ, ნახერხზე... ერთი წლის წინათ კი კოჩარელებმა დაამთავრეს კულტურის სახლის მშენებლობა და ამ შესანიშნავ შენობაში მოჭიდავეებს ერთი დიდი ოთახი გამოუყვეს, ლეიბები უყიდეს. ეს კარგი სტიმული იყო: შეიქმნა ახალი ჯგუფი და გაჩაღდა გეგმაზომიერი მუშაობა ახალბედებთანაც. კვირაში სამჯერ იკრიბებიან ფალავნები. ა. გაგიანი და დ. გაგიანი მეორეთანრიგოსნები გახდნენ, თ. მარგიანი და ნ. შენგელია — მესამეთანრიგოსნები. ისინი რაიონში უძლიერესებად არიან აღიარებული. კოჩარელების ბაზაზე კომპლექტდება „კოლმეურნის“ რაისაბჭოს გუნდი. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ქართული და თავისუფალი ჭიდაობის მომდევარნი საკოლმეურნეო შრომაშიც ყოჩაღები არიან.

თ. ნინოშვილი
(ჩვენი სპეც. კორ.).

სოფ. კოჩარა,
ოჩამჩირის რაიონი.

მწვერვალთა დაპყრობა გრძელდება!

სოფელი იალბუზი, 7 აგვისტო. (დეპეშით ჩვენი სპეც. კორ.). მიუხედავად მძიმე მეტეოროლოგიური პირობებისა, „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს მთასვლელთა საკვალიფიკაციო ჯგუფები წარმატებით განაგრძობენ ცენტრალური კავკასიონის მწვერვალების იერიშს. პირველთანრიგოსან ბაგრატ კვიციანის ხელმძღვანელობით 27 ივლისს ჩრდილოეთის კედლის დაძლევით დაპყრობილ იქნა 4-ბ კატეგორიის სიძნელის მწვერვალი — „მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა“.

ოსტატობის კანდიდატ პირიბე გვარლიანის ხელმძღვანელობით 3 აგვისტოს ალპინისტთა ჯგუფმა ჩრდილო-დასავლეთის კედლით დაიპყრო 5-ბ კატეგორიის სიძნელის მწვერვალი — შჩუროვსკის პიკი.

სპორტის დამსახურებული ოსტატის მიხეილ ხერგიანის გუნდმა ჩაატარა ამ სეზონში მეხუთე დაზვერვითი გასვლა ჩრდილოეთ უშბის აღმოსავლეთ კედელზე (პლატოსა და ჩალაათის უღელტეხილით).

მწვერვალთა შტურმი გრძელდება. ყველანი მხნედ არიან.

ს. გვალია,
სპორტის ოსტატი,
ალპინისტური ექსპედიციის უფროსი.

Veni, vidi, vici!

...ასე მიმართა იულიუს კეისარმა სენატს პონტოს მეფეზე გამარჯვების შემდეგ. კეისრის სიტყვები ისტორიაში ტრიუმფის სინონიმად შევიდა.

ომარ ფხაკაძე არ არის კეისარი, მაგრამ მასაც შეეძლო თამამად ეთქვა:

— მივედი, ვნახე, ვძლიე!

1963 წელს ველოსპორტის კეისარმა — ომარმა სხვა მასშტაბებში გაიმეორა თავისი სახელოვანი „წინამორბედის“ ტრიუმფი.

ეს მოხდა საბჭოთა კავშირის ხალხთა III სპარტაკიადაზე.

სულ რაღაც ერთი წლით ადრე ომარ ფხაკაძე პოტენციური ჩემპიონი იყო სპრინტში. მასზე იმედებს ამყარებდნენ და წერდნენ...

ყველაზე ოპტიმისტური პროგნოზებითაც კი გამარჯვება მის წილად სამი-ოთხი წლის შემდეგ უნდა მოსულიყო.



ეს ფოტოსურათი გადაღებულია მოსკოვში, სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადაზე. ომარ ფხაკაძე მისთვის დამახასიათებელ სიტუაციაში: ქართველი ველოსიპედისტის მეტოქე მაქსიმალური დაძაბულობით ისწრაფვის ფინიშისკენ, ომარი კი მშვიდად ადევნებს თვალს მის თავგანწირვას და მეტოქეს წინ არ უშვებ“...

ფოტო მ. ზარგარიანისა.

მაგრამ ომარი გულხელდაკრეფილი როდი ელოდებოდა თავის ბედს. იგი თვითონ წავიდა მის შესახვედრად და სარეკორდოდ მცირე დროში პოტენცია სინამდვილედ აქცია. ეს იყო საოცრად დიდი ტრიუმფი; ერთ სალამოს ქართველმა ველოსიპედისტმა დაიპყრო საბჭოთა კავშირის დედაქალაქის „ნორჩ პიონერთა“ სტადიონი.

ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ო. ფხაკაძის მაშინდელმა წარმატებამ. ზოგიერთი ეჭვის თვალითაც კი უყურებდა სპორტსმენის მომავალს. ისინი, ეს სკეპტიკოსები, ასე ფიქრობდნენ: „უდავოდ ნიჭიერია, კარგი მონაცემებიც აქვს, მაგრამ...“

ეი, სწორედ ამ „მაგრამის“ გამართლებას ვერ პოულობდნენ.

სინამდვილე კი უფრო სხვაგვარი და მრავლისმთქმელი იყო. ერთ-ერთ რბოლაში ომარი დაშავდა, მაგრამ ნატკენმა ფეხმა მას თითქოს ახალი ძალა შთაბერა. ასე იყო თუ ისე, სწორედ ამ მომენტიდან ომარი გაცილებით უფრო მძვინვარე და შეუპოვარი გახდა. აი, მაშინ ქარიშხალივით ჩაუქროლა ომარმა სახელგანთქმულ რიგელს იმანტ ბოდნიექსს და პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი. ამ სასიქადულო გამარჯვებამ ქართველ სპორტსმენს ჩემპიონის პირველი მედალი მოუტანა.

ეგრეთ ხეკეტიკოსები მაშინ ამბობდნენ, რომ ფხაკაძის წარმატება სრულფასოვანი არ არის, რადგან იგი არც ერთხელ არ შეხვედრია ბ. რომანოვსო (იგი სპრინტის მეორე ადგილზე მოსულია).

კენჭისყრის ნება იყო ასეთი და ამ პატარა „შეცდომას“ ვერაფერი გამოასწორებდა, ახალი წელისწინარ გარდ.

ირკუტსკში მწვავე განცდების მოყვარულებმა ბოლოსდაბოლოს საზრდო მიიღეს: ერთმანეთს მონატრებული ბორის რომანოვი და ომარ ფხაკაძე სტარტზე ერთმანეთის გვერდით დგანან. ბრძოლის დაწყებით ფაზას ველოსიპედისტები, როგორც წესი, კუს ტემპით გადიან, პოზიციებს არჩევენ, საფინიშო შტურმისთვის ემზადებიან.

ომარი სისწრაფის მეფეა, მთელი თავისი ვეებერთელა წონით მანქანაზე ამხედრებული სპორტსმენი გრიგალივით მიჰქრის ტრიბუნების გასწვრივ. ინერცია მას კიდევ უფრო წინ მიერეკება და ფინიშის ხაზის გადაკვეთის შემდეგაც სისწრაფე თვალისმომჭრელია. მუდამ ასე მთავრდება სპრინტში მშვიდად დწყებული ბრძოლა. უკანასკნელი 200 მეტრი ომარის სტიქიაა. აქ მას ბადალი არა ჰყავს (სწორედ ამიტომ ეკუთვნის მას საკავშირო რეკორდი — 11,2).

რომანოვმა ათასგვარ ტაქტიკურ ოინსა და ხერხს მიმართა, მაგრამ რას გაიწყობ ძალასთან, რომელიც აღმართს ხნავს?! რომანოვი ორჯერ დამარცხდა და ერთი წლის დავასაც საბოლოოდ დაესვა წერტილი.

დამარცხდა ბოდნიექსიც...

ომარ ფხაკაძემ შეინარჩუნა უძლიერესი სპრინტერის სახელი. ირკუტსკის ტრეკმა მის წინაშე ისევე მოიხარა ქედი, როგორც გასულ წელს „ნორჩი პიონერების“ სტადიონმა.

წინ ტოკიოა და ოლიმპიური ბატალიები. ვინ იცის, იქნებ ომარ ფხაკაძემ აქაც გაიმეოროს კეისრის აფორიზმად ქცეული სიტყვები!

ნ. გუგუშვილი

სტუმარი ურუგვაიდან

საქართველოში რამდენიმე დღე სტუმრად იყო ურუგვაის რესპუბლიკის სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე პაისე რეიესა. იგი ამავე დროს არის ურუგვაის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი. ბ-ნი რეიესა თბილისში ყოფნისას დაესწრო „დინამოს“ სტადიონზე გამართულ მატჩს ადგილობრივი „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ შორის.

ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა ბ-ნ პაისე რეიესას და თხოვა გამოთქვა აზრი საქართველოს ფეხბურთელებზე.

—მე დიდის გატაცებით ვადევნებდი თვალს მატჩს. მართალი გითხრათ, იყო წუთები, როცა მავიწყდებოდა კიდეც, რომ საქართველოში ვარ და ქართველ ფეხბურთელებს ვუცქერი,— მეგონა ურუგვაელებს ვუყურებდი. თბილისის დინამოელები უდავოდ მაღალი კლასის ფეხბურთელები არიან. მათი თამაში მეტად მოსწონი იყო, განსაკუთრებით, პირველ ტაიმში. მეტრეველი, კოტრიკაძე და გ. სიჭინავა, ჩემის ღრმა რწმენით, საერთაშორისო კლასის მოთამაშეები არიან.

ძალიან მომეწონა თბილისელი მაყურებლები. ისინი პირუთვნელი და სამართლიანი გულშემატკივრები არიან როგორც თავისი, ისე მეტოქის გუნდისა. ალბათ ამიტომაა, რომ ჩვენი საფეხბურთო მინდვრებისგან განსხვავებით, აქ ვერ ვნახე სათამაშო მინდვრის გარშემო ვერც წყლით სავსე ფართო თხრილები (როგორც არგენტინაშია) და ვერც ეკლიანი მავთულხლართები, როგორც ჩემს სამშობლო ურუგვაიშია. თუმცა, გულახდილად რომ გითხრათ, ხშირად არც ეს თხრილები და მავთულხლართები შველის საქმეს...

ბევრი რამ კარგი ვნახე სსრ კავშირში და, კერძოდ, საქართველოში. მოგზაურობით აღფრთოვანებული ვარ. როგორც სპორტული გაზეთის წარმომადგენელს, მსურს გითხრათ, რომ ძალიან მომწონს თქვენი სპორტული აღზრდის და წვრთნის სისტემა, აგრეთვე მრავალრიცხოვანი სპორტული ნაგებობა. საუცხოოა თქვენი სპორტის სასახლე. იქ საპატიო სტუმრების წიგნში ჩაგწერე კიდეც: „ეს შესანიშნავი დარბაზია სპორტსმენი ახალგაზრდობისთვის და, საერთოდ, საქართველოს მთელი ახალგაზრდობისთვის. მე, როგორც ურუგვაის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, ურუგვაის სპორტული ახალგაზრდობის სახელით მხურვალე სალამს ვუძღვნი საქართველოს სპორტულ ახალგაზრდობას“.

ჯერ კიდევ თქვენთან ჩამოსვლამდე ვიცოდი, რომ ქართველები შესანიშნავი სპორტსმენები არიან და მათ გასულ ოლიმპიურ თამაშებზე ბევრი მედალი შეძინეს საბჭოთა გუნდს. მე ვუსურვებ მათ ტოკიოდან კიდევ უფრო მდიდარი ნადავლის წამოღებას.

კორესპონდენტის კითხვაზე, რა შანსები აქვთ ურუგვაის სპორტსმენებს, მან უპასუხა:

—ვიცი, რომ თქვენში ტრაბახა ხალხი არ უყვართ და ყოველგვარ პროგნოზებს, ე. ი. მოუკლავი დათვის ტყავის გაყიდვას, არ დავიწყებ. ვიტყვი მხოლოდ ერთს: იმედი გვაქვს — ურუგვაი ტოკიოში უკეთ „წარსდგება“, ვიდრე უკანასკნელ თამაშებში. მე მოხარული ვიქნები, თუ ჩვენი ოლიმპიური გუნდი ოლიმპიადის შემდეგ შეძლებს მეგობრული შეჯიბრებების ჩასატარებლად საბჭოთა კავშირში ჩამოსვლას. ვინ იცის, იქნებ ერთხელ კიდევ მოვხვდე მშვენიერ საქართველოში, რომელიც ჩემს მშობლიურ ურუგვაის მაგონებს.



★

ცხენბურთი!... ქართველი ერის უძველესი სპორტული სახეობა. შემართების, მხედრული სიმარჯვის, მოქნილობისა და საზრიანობის ასპარეზობა. ამ შესანიშნავი თამაშის წყალობით, ჩვენი ისტორიის საუკუნეთა სიღრმიდანვე, ვაჟკაცობისა და რაინდული კეთილშობილების სულისკვეთებით იზრდებოდნენ ფიზიკურად მხნე, ძალ-ღონით სავსე თაობები.

მით უმეტეს, ცხენბურთი საყოველთაო ყურადღებით უნდა სარგებლობდეს დღეს, განახლებულ საქართველოში.

ფოტო ფ. კრიმსკისა.

★

ჩვენი ოლიმპიელები

წოდებათა მინიჭება

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით „საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის“ წოდება მიენიჭათ: ჭიდაობაში — ბ. ბასიაშვილს, ი. ტლაშაძეს (ორივენი — თბილისიდან), ვ. გეგიაძეს (ქუთაისი), გ. პაპიტაშვილს (გორი); წყალბურთში — ხ. ჩაჩავას, ლ. კრილოვს (ორივენი — თბილისიდან); ტანვარჯიშში — გ. პაპაშვილს (თბილისი); მძლეოსნობაში — ვ. შმაკოვს (თბილისი); ტყვიით სროლაში — თ. ხერხეულიძეს (თბილისი); ნიჩბოსნობაში — თ. ნეგეფტოვს (თბილისი); ავტოსპორტში — ვ. ბეთანოვს (თბილისი).

ეროვნული ბიბლიოთეკა



ᲛᲖᲔ, წყალი და ჰაერი. ადამიანის ჯანმრთელობისთვის მათს მნიშვნელობაზე ლაპარაკი ზედმეტია. ბუნების ამ უმშვენიერესი მადლით ყველაზე მეტად ნიჩბოსნები სარგებლობენ. მით უმეტეს, სპორტის ეს წარმტაცი სახეობა დიდ ფიზიკურ ვარჯიშსაც მოითხოვს. ამდენად, ნიჩბოსნობა, აკადემიური იქნება, საბაიდარო თუ კანოეთი, საგრძნობლად უწყობს ხელს ადამიანის ფიზიკურ წრთობასა და სრულყოფას.

ამ სურათზე აკადემიური ნავი და მისი „ბინადარნი“ არიან აღბეჭდილი. მათი მკლავის ძალასა და ნიჩბების შეთანხმებულ მოსმაზეა დამოკიდებული ნავის ტემპი მზის სხივებით აბრჭყვიალებულ წყლის ზედაპირზე.

ფოტო ფ. კრიმსკისა.

ᲔᲕᲐ ᲙᲐᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘᲐ

საჭადრაკო სამყაროში ფართოდ გაითქვა სახელი საქართველოს საერთაშორისო ქალთა ტურნირებმა, რომლებიც 196- წლიდან იმართება. მათში თამაში ყველა ქვეყნის გამოჩენილ მოჭადრაკეს დიდ პატივად მიაჩნია. ამიტომ ჩვენს ტრადიციულ ტურნირებში სსრ კავშირისა და ევროპის ბევრ ცნობილ ოსტატს მიუღია მონაწილეობა. ეს ასპარეზობები გადაიქცა სხვადასხვა ერის მოჭადრაკეთა მეგობრობის ნათელ დემონსტრაციად.

IV ტრადიციულ ტურნირში, რომელიც ჩატარდა მიმდინარე წლის მაისს სოხუმში, ჩვენს სტუმრებს შორის იყო მსოფლიო ჩემპიონის სახელის პრეტენდენტი, ცნობილი უნგრელი ოსტატი ევა კარაკაში. ევამ კარგად ითამაშა ტურნირში. ქართველი კოლეგები და გულშემატკივრები დიდი სიმპათიით განიმსჭვალენ მის მიმართ.

ᲒᲠᲫᲝᲚᲘᲡ სიმძაფრემ ყველა გაიტაცა. ამ დროს მოჭადრაკე შეუნიღბავია. ადვილად ამოიკითხავ მის ბუნებას, ჩვეულებს... და მეც მაინ რანიკუსა და უნგრელ ევა კარაკაშში, რომლებიც შეუპოვრად თამამობდნენ, ამოვიცანი კეთილი ბუნების ადამიანები, ჭადრაკის თავდადებული თაყვანისმცემლები...

— ვერ წარმოიდგენთ, რა უხერხულ მდგომარეობაში ვარ, — ღიმილით მითხრა ერთხელ ევამ თარჯიმნის დახმარებით (იგი მხოლოდ უნგრულ და გერმანულ ენებზე ლაპარაკობს). — მეუღლემ არც კი იცის, რომ სოხუმში ვარ. მოულოდნელად აღმოვჩნდი ამ მზიურ ქალაქში. ის იყო მოსკოვს დავბრუნდი ორჯონიკიძიდან, სადაც რუსეთის ფედერაციისა და უნგრეთის მოჭადრაკეთა ამხანაგური მატჩი ჩატარდა, რომ დამახვედრეს ქალთა საერთაშორისო ტურნირზე მიწვევა. რა მექნა? უარის თქმა როგორ შემეძლო! თქვენს ტურნირებში თითქმის ყველა უნგრელმა ოსტატმა ქალმა ითამაშა და ისეთი შთაბეჭდილებით დაბრუნდნენ სამშობლოში, რომ ოცნებად გადამექცა საქართველოს ნახვა.

ევა ქერათმიანი, დაბალი ტანის ქალია. სახეზე მუდამ სათნო ღიმილი უკრთის. მეტად კარგი მოსაუბრეა.

— ჭადრაკს ბავშვობიდან ვთამაშობ. მაგრამ სერიოზულად დავინტერესდი ომისშემდგომ წლებში. ბევრჯერ ვყოფილვარ უნგრეთის ჩემპიონი, მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის პრეტენდენტიც ვიყავი.

უნგრელი საერთაშორისო ოსტატი ერუდირებული მოჭადრაკეა. თავისი ხასიათის შესაბამისად, „დარბაისლურ“ სტილში თამაშობს. შესანშნავად ეხერხება ვარიანტების გათვლა. მაგრამ ფიზიკურად სუსტია და ალბათ ამიტომაა, რომ მისი შედეგები მუდამ თანაბარი არაა.

ერთხელ ევას ხელზე შევამჩნიე ამოტვიფრული ციფრები. ჩემი გაოცებული მზერა წამსვე შენიშნა და მითხრა:

— ეს ფაშისტების ნახელავია.

აღარაფერი მიკითხავს, თუმცა შეძრწუნებული დავრჩი. უბრალოდ, ბალზაკის სიტყვები გამახსენდა: იმის წარმოსახვა, რასაც ერთხელ უწამებიხარ, მისი განმეორებითი შეგრძნებაა. ამიტომ საუბარი სხვა თემაზე გადავიტანე. ევამ ეს ივრძნო. ერთგან გაკვირვებაც კი გამოუთქვამს ამის გამო და როცა შეიტყო, თუ რა მიზეზით არ გამოვკითხე მისი ტანჯვის ამბები, თავად მოგითხრა:

— 1944 წელს, როცა ფაშისტები საბჭოთა არმიის შემმუსვრელი დარტყმებით უკან იხევდნენ, უნგრეთში მათ ახალი საკონცენტრაციო ბანაკები შექმნეს. ერთ-ერთ ბანაკში, როგორც არასაიმედო, მეც მოვხვდი. ხელზე აი, ეს ნომერი — 80040 — ამომტვიფრეს. სხვათა შორის, შემდგომ ბევრი ვეცადე მისი მოცილება, მაგრამ არა და არ ამოდის. ახლა ეს ციფრები მუდამ მაგონებენ, რომ საჭიროა ვიბრძოლოთ ომისა და ფაშიზმის წინააღმდეგ.

როცა ევა ჭადრაკს უზის, სახე გაცისკროვნებული აქვს. მასზე ადვილად ამოიცნობთ შემოქმედებით წვას.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონ რანიკუსთან ევამ თავისი საყვარელი ესპანური პარტია გაითამაშა. მაინ აჰყვა. მაგრამ მალე გამოირკვა, რომ რანიკუს კარგად არ იცოდა ეს სადებიუტო სისტემა.

კარაკაში



რანიკუ

რანიკუს პოზიცია ოდნავ უარესია. საჭირო იყო ეტლი e3-ის უკან წამოსვლა. რანიკუ ჩქარობს თამაშის გახსნით. იგი ვერ იტანს დამცველის როლს, რისთვისაც პაიკის დაკარგვით ისჯება.

19. f4 ᲒᲒ8 20. კg5 კ:g5 21. fg ლ:g5 (ახლა პარტია საინტერესოა იმ თვალსაზრისით, თუ როგორ ახდენს უპირატესობის რეალიზაციას უნგრელი ოსტატი) 22. მgh1 მf6 23. ეg1 მg4 24. ეe2 ლf4 25. f3 მh6 26. ეf1 f5 (მხოლოდ აქტიური თამაშით შესაძლებელია გამოიყენონ ნადავლი) 27. ეef2 ეef8 28. ლe2 მf7 (მუქარით მf7—g5—h3) 29. ef მ:f5 30. კ:f5 gf 31. მh5 ლh4 32. f4 ეae8 33. ლd1 მh6 34. მg3 ეg8 35. ეg2 ეg6 (უკეთესი იყო 35... ეg4) 36. ლe1 ეg4 37. fe ე:e5 38. ლf2 ე:d5 (შეიძლებოდა 38... f4-იც) 39. ლa7 ეc5 40. ლa8+ ეg8 41. მ:f5 (და არა 41. ლ:a6 f4 გამო) 41... ე:a8 42. მ:h4 ეe8 43. h3 ეce5 (ენდშპილი მოითხოვს ზუსტ თამაშს. უახლოესი მიზანია მხედრის ცენტრში გადაყვანა) 44. ეf6 ე5e6 45. ე6f2 ე6e7 46. მf3 მf7 47. მd4 ეe1+ 48. მgh2 მe5 49. მc2 ეb1 50. მb4 a5 51. მd5 c6 52. მc7 ეg8 53. მe6 ე:g2+ 54. მg:g2 h6 55. მf4 მgh7 (კარაკაშმა გამარჯვება დაიახლოვა. მისი მეფე თამამად ებმევა ბრძოლაში) 56. ეe2 მgg7 57. მe6+ მgf6 58. მd4 ეd1 59. ეf2+ მgg6 60. ეe2 b4 (საბოლოოდ ასუსტებს თეთრების პოზიციას. პარტიის ბედი გადაწყვეტილია) 61. მb3 bc 62. bc a4 63. ეd2 ე:d2 64. მ:d2 მgf5 65. მgg3 d5 66. მgh4 მgf4 67. მf1 მf3+ 68. მgh5 მg5 69. მg:h6 მ:h3 70. მgg6 მf2 71. მd2 მge3 72. მb1 მgd3 73. მgf5 მgc2 თეთრები დანებდნენ.

ევა კმაყოფილია. პირველი შეხვედრა, ისიც ჩვენი ქვეყნის ჩემპიონთან, მოგებულია!

თ. გიორგაძე

ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲘ — ᲚᲘᲓᲔᲠᲗᲐ ᲯᲒᲣᲤᲨᲘ

ᲛᲘᲜᲡᲙᲘ, 7 აგვისტო. (დეპეშით ჩვენი სპეც. კორ.). სსრ კავშირის XXXII საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალის სატურნირო ცხრილში მოხდა ცვლილებები: № 1 არის ხარკოველი ოსტატი საკონი, № 3 — რიგელი ოსტატი პეტერსონი და № 18 — როსტოველი ოსტატი ხოდოსი.

III ტურში ყურადღების ცენტრში იყო გაფრინდაშვილი — ხოდოსის შეხვედრა. მეტოქეებმა გაითამაშეს სიცილიური დაცვა და მწვავე ბრძოლა გააჩაღეს. კრიტიკულ მომენტში მსოფლიო ჩემპიონმა ტაქტიკური დარტყმით ჭარბი უპირატესობა მოიპოვა და გაიმარჯვა.

წარმატებით ითამაშა გურგენიძემ მუხინთან. ესპანურ პარტიაში მან უკეთესი შანსები მიიღო და მოიგო.

ყაიმით დამთავრდა ზახარიან — ზილბერის, ბოიარინოვ — ვალიევის პარტიები.

დანარჩენი პარტიები არ დამთავრებულა.

IV ტურში სუეტინმა ძლიერი იერიშით დაამარცხა ზილბერი. პირველი დამარცხება განიცადა აგრეთვე მეორე ლიდერმა — აშხაბადელმა ვალიევმა, რომელსაც ხოდოსმა მოუგო. მუხინმა გაიმარჯვა ბირბრაგერთან.

გაფრინდაშვილი შეხვდა პეტერსონს. რიგელმა ოსტატმა სიცილიურ დაცვაში პაულსენის გაგრძელება აირჩია და უარესი პოზიცია მიიღო, მაგრამ იგი შეუპოვრად იცავდა თავს. მეხუთე საათზე პეტერსონმა შეძლო თამაშის გათანაბრება და მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ. გურგენიძე — ზახარიანის პარტია არ დამთავრებულა. იგი გადაიდო საქართველოს ჩემპიონისთვის უკეთეს მდგომარეობაში. დაუთავრებელი დარჩა სხვა ოთხი პარტიაც.

4 ტურის შემდეგ დიდოსტატ ა. სუეტინს — 3 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს. საერთაშორისო ოსტატ ნ. გაფრინდაშვილს — 2,5 ქულა და 1 გამოტოვებული პარტია; ოსტატებს ა. პეტერსონსა და ი. ზილბერს, აგრეთვე ოსტატობის კანდიდატ ნ. ვალიევს — 2,5 ქულა თვითეულს, ბ. გურგენიძეს — 2 ქულა და 1 გადადებული პარტია.

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ

სპორტის ოსტატის წოდების მიღებისთვის უმაღლესმა საკვალიფიკაციო კომისიამ 10 ქულა დააწესა.

Შ. ᲨᲘᲨᲝᲕᲘ,
სპორტის ოსტატი.

ᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡ ᲝᲠᲘ ᲡᲐᲒᲒᲣᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲙᲘᲨᲘᲜᲘᲝᲕᲘ. (ჩვენი სპეც. კორ.). აქ დაიწყო სსრ კავშირის XXXII საჭადრაკო ჩემპიონატის ერთ-ერთი ნახევარფინალი, საიდანაც ფინალში მხოლოდ ორი გამარჯვებული მოჭადრაკე გადის. ტურნირში მონაწილეობენ (ცენტისყრის მიხედვით): 1. ოსტატობის კანდიდატი ბოკუჩავა (თბილისი), 2. ოსტატი სარდაროვი (კიროვაბადი), 3. საერთაშორისო ოსტატი გიპსლისი (რიგა), 4. ოსტატობის კანდიდატი ნიკიტინი (პავლოდარი), 5. ოსტატობის კანდიდატი ამბრაზაიტისი (კაუნასი), 6. ოსტატობის კანდიდატი კუზმინი (ლუგანსკი), 7. ოსტატი არულაიდი (ტალინი), 8. ოსტატობის კანდიდატი ნივიდნიჩი (კიშინიოვი), 9. საერთაშორისო ოსტატი ბაგროვი (ბაქო), 10. ოსტატი როიზმანი (მინსკი), 11. ოსტატი ჩესნაუსკასი (ვილნიუსი) 12. ოსტატი გოლდენოვი (მინსკი), 13. ოსტატი კუდრიაშოვი (აშხაბადი), 14. ოსტატი ლუტიკოვი (ტირასპოლი), 15. ოსტატი ჰალილბეილი (ბაქო), 16. ოსტატი კლოვანი (რიგა), 17. ოსტატობის კანდიდატი კიკიანი (თბილისი), 18. ოსტატობის კანდიდატი გრიგორიანი (ერევანი).

I ტურში თეთრებით მოთამაშე მოჭადრაკეებს „შავი დღე“ დაადგათ. სარდაროვი დამარცხდა კიკიანთან, ბოკუჩავა — გრიგორიანთან, ნიკიტინი — ჰალილბეილისთან, ამბრაზაიტისი — ლუტიკოვთან, კუზმინი — კუდრიაშოვთან, ხოლო ნივიდნიჩი — ჩესნაუსკასთან. ყაიმით დასრულდა გიპსლის—კლოვანის შეხვედრა. ორი პარტია არ გათამაშებულა.

II ტურში კიკიანმა ყაიმით დაამთავრა პარტია გიპსლისთან, ხოლო ბოკუჩავა — სარდაროვის პარტია გადაიდო.

ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲣᲠᲘ ᲗᲝᲙᲘᲝᲡ ᲡᲐᲛᲖᲐᲓᲘᲡᲘ

**ᲘᲐᲠᲝᲜᲘᲘᲡ ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲐᲦᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲐ ᲡᲞᲝᲠᲗᲣᲚ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲨᲘ. ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲛᲝᲭᲐᲓᲠᲐᲙᲔᲗᲐ ᲨᲠᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ. ᲛᲐᲗᲨᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲛᲝᲭᲐᲓᲠᲐᲙᲔᲗᲐ ᲨᲠᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲔᲑᲨᲘ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲠᲗᲘᲡ ᲑᲔᲕᲠ ᲪᲜᲝᲑᲘᲚ ᲝᲡᲢᲐᲢᲡ ᲛᲘᲣᲦᲘᲐ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ. ᲔᲡ ᲐᲡᲐᲠᲔᲖᲝᲑᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲥᲪᲐ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲔᲠᲘᲡ ᲛᲝᲭᲐᲓᲠᲐᲙᲔᲗᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲜᲐᲗᲔᲚ ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐᲓ.

IV ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲝᲮᲣᲛᲨᲘ, ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲘᲧᲝ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲢᲔᲜᲓᲔᲜᲓᲘ, ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲣᲜ�გᲠᲔᲚᲘ ᲝᲡᲢᲐᲢᲘ ᲔᲕᲐ ᲙᲐᲠᲐᲙᲐᲨᲘ. ᲔᲕᲐᲛ ᲙᲐᲠ�გᲐᲓ ᲗᲝᲗᲐᲛᲐᲨᲐ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ. ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲨᲔᲛᲐᲙᲘᲕᲠᲔᲑᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲘᲛᲞᲐᲗᲘᲘᲗ ᲒᲐᲜᲘᲛᲡᲭᲕᲐᲚᲔᲜ მის მიმართ.

ᲔᲡᲞᲐᲜᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲒᲐᲘᲗᲐᲛᲐᲨᲐ, ᲛᲐᲘᲐ ᲐᲭᲕᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲚᲔ ᲒᲐᲛᲝᲘᲠᲙᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲠᲐᲜᲘᲙᲣᲡ ᲙᲐᲠ�გᲐᲓ ᲐᲠ ᲘᲪᲝᲓᲐ ᲔᲡ ᲡᲐᲓᲔᲑᲘᲣᲢᲝ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ.

ᲙᲐᲠᲐᲙᲐᲨᲘ

ᲠᲐᲜᲘᲙᲣ

(ᲛᲐᲨᲘᲗ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲝ ᲜᲐᲓᲐᲕᲚᲘ) 27. ეef2 ეef8 28. ლe2 მf7 (მუქარით მf7—g5—h3) 29. ef მ:f5 30. კ:f5 gf 31. მh5 ლh4 32. f4 ეae8 33. ლd1 მh6 34. მg3 ეg8 35. ეg2 ეg6 (უკეთესი იყო 35... ეg4) 36. ლe1 ეg4 37. fe ე:e5 38. ლf2 ე:d5 (შეიძლებოდა 38... f4-იც) 39. ლa7 ეc5 40. ლa8+ ეg8 41. მ:f5 (და არა 41. ლ:a6 f4 გამო) 41... ე:a8 42. მ:h4 ეe8 43. h3 ეce5 (ენდშპილი მოითხოვს ზუსტ თამაშს. უახლოესი მიზანია მხედრის ცენტრში გადაყვანა) 44. ეf6 ე5e6 45. ე6f2 ე6e7 46. მf3 მf7 47. მd4 ეe1+ 48. მgh2 მe5 49. მc2 ეb1 50. მb4 a5 51. მd5 c6 52. მc7 ეg8 53. მe6 ე:g2+ 54. მg:g2 h6 55. მf4 მgh7 (კარაკაშმა გამარჯვება დაიახლოვა. მისი მეფე თამამად ებმევა ბრძოლაში) 56. ეe2 მgg7 57. მe6+ მgf6 58. მd4 ეd1 59. ეf2+ მgg6 60. ეe2 b4 (საბოლოოდ ასუსტებს თეთრების პოზიციას. პარტიის ბედი გადაწყვეტილია) 61. მb3 bc 62. bc a4 63. ეd2 ე:d2 64. მ:d2 მgf5 65. მgg3 d5 66. მgh4 მgf4 67. მf1 მf3+ 68. მgh5 მg5 69. მg:h6 მ:h3 70. მgg6 მf2 71. მd2 მge3 72. მb1 მgd3 73. მgf5 მgc2 თეთრები დანებდნენ.

ევა კმაყოფილია. პირველი შეხვედრა, ისიც ჩვენი ქვეყნის ჩემპიონთან, მოგებულია!

თ. გიორგაძე

ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲣᲠᲘ ᲗᲝᲙᲘᲝᲡ ᲡᲐᲛᲖᲐᲓᲘᲡᲘ

ᲘᲐᲠᲝᲜᲘᲘᲡ ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲐᲦᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲐ ᲡᲞᲝᲠᲗᲣᲚ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲨᲘ. ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲛᲝᲭᲐᲓᲠᲐᲙᲔᲗᲐ ᲨᲠᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ. ᲛᲐᲗᲨᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲛᲝᲭᲐᲓᲠᲐᲙᲔᲗᲐ ᲨᲠᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲔᲑᲨᲘ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲠᲗᲘᲡ ᲑᲔᲕᲠ ᲪᲜᲝᲑᲘᲚ ᲝᲡᲢᲐᲢᲡ ᲛᲘᲣᲦᲘᲐ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ. ᲔᲡ ᲐᲡᲐᲠᲔᲖᲝᲑᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲥᲪᲐ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲔᲠᲘᲡ ᲛᲝᲭᲐᲓᲠᲐᲙᲔᲗᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲜᲐᲗᲔᲚ ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐᲓ.

IV ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲝᲮᲣᲛᲨᲘ, ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲘᲧᲝ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲢᲔᲜᲓᲔᲜᲓᲘ, ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲣᲜ�გᲠᲔᲚᲘ ᲝᲡᲢᲐᲢᲘ ᲔᲕᲐ ᲙᲐᲠᲐᲙᲐᲨᲘ. ᲔᲕᲐᲛ ᲙᲐᲠ�გᲐᲓ ᲗᲝᲗᲐᲛᲐᲨᲐ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ. ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲨᲔᲛᲐᲙᲘᲕᲠᲔᲑᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲘᲛᲞᲐᲗᲘᲘᲗ ᲒᲐᲜᲘᲛᲡᲭᲕᲐᲚᲔᲜ მის მიმართ.

ᲔᲡᲞᲐᲜᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲒᲐᲘᲗᲐᲛᲐᲨᲐ, ᲛᲐᲘᲐ ᲐᲭᲕᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲚᲔ ᲒᲐᲛᲝᲘᲠᲙᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲠᲐᲜᲘᲙᲣᲡ ᲙᲐᲠ�გᲐᲓ ᲐᲠ ᲘᲪᲝᲓᲐ ᲔᲡ ᲡᲐᲓᲔᲑᲘᲣᲢᲝ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ.

ᲙᲐᲠᲐᲙᲐᲨᲘ

ᲠᲐᲜᲘᲙᲣ

(ᲛᲐᲨᲘᲗ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲝ ᲜᲐᲓᲐᲕᲚᲘ) 27. ეef2 ეef8 28. ლe2 მf7 (მუქარით მf7—g5—h3) 29. ef მ:f5 30. კ:f5 gf 31. მh5 ლh4 32. f4 ეae8 33. ლd1 მh6 34. მg3 ეg8 35. ეg2 ეg6 (უკეთესი იყო 35... ეg4) 36. ლe1 ეg4 37. fe ე:e5 38. ლf2 ე:d5 (შეიძლებოდა 38... f4-იც) 39. ლa7 ეc5 40. ლa8+ ეg8 41. მ:f5 (და არა 41. ლ:a6 f4 გამო) 41... ე:a8 42. მ:h4 ეe8 43. h3 ეce5 (ენდშპილი მოითხოვს ზუსტ თამაშს. უახლოესი მიზანია მხედრის ცენტრში გადაყვანა) 44. ეf6 ე5e6 45. ე6f2 ე6e7 46. მf3 მf7 47. მd4 ეe1+ 48. მgh2 მe5 49. მc2 ეb1 50. მb4 a5 51. მd5 c6 52. მc7 ეg8 53. მe6 ე:g2+ 54. მg:g2 h6 55. მf4 მgh7 (კარაკაშმა გამარჯვება დაიახლოვა. მისი მეფე თამამად ებმევა ბრძოლაში) 56. ეe2 მgg7 57. მe6+ მgf6 58. მd4 ეd1 59. ეf2+ მgg6 60. ეe2 b4 (საბოლოოდ ასუსტებს თეთრების პოზიციას. პარტიის ბედი გადაწყვეტილია) 61. მb3 bc 62. bc a4 63. ეd2 ე:d2 64. მ:d2 მgf5 65. მgg3 d5 66. მgh4 მgf4 67. მf1 მf3+ 68. მgh5 მg5 69. მg:h6 მ:h3 70. მgg6 მf2 71. მd2 მge3 72. მb1 მgd3 73. მgf5 მgc2 თეთრები დანებდნენ.

ევა კმაყოფილია. პირველი შეხვედრა, ისიც ჩვენი ქვეყნის ჩემპიონთან, მოგებულია!

თ. გიორგაძე

ᲛᲘᲜᲡᲙᲘ, 7 აგვისტო. (დეპეშით ჩვენი სპეც. კორ.). სსრ კავშირის XXXII საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალის სატურნირო ცხრილში მოხდა ცვლილებები: № 1 არის ხარკოველი ოსტატი საკონი, № 3 — რიგელი ოსტატი პეტერსონი და № 18 — როსტოველი ოსტატი ხოდოსი.

III ᲢᲣᲠᲨᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ ᲘᲧᲝ ᲒᲐᲤᲠᲘᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ — ᲮᲝᲓᲝᲡᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ. ᲛᲔᲢᲝᲥᲔᲑᲛᲐ ᲒᲐᲘᲗᲐᲛᲐᲨᲔᲡ ᲡᲘᲪᲘᲚᲘᲣᲠᲘ ᲓᲐᲪᲕᲐ ᲓᲐ ᲛᲬᲕᲐᲕᲔ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲒᲐᲐᲩᲐᲦᲔᲡ. ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲨᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲛᲐ ᲢᲐᲥᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐᲠᲢᲧᲛᲘᲗ ᲭᲐᲠᲑᲘ ᲣᲞᲘᲠᲐᲢᲔᲡᲝᲑᲐ ᲛᲝᲘᲞᲝᲕᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲐ.

ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲘᲗᲐᲛᲐᲨᲐ ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲔ ᲛᲣᲮᲘᲜᲗᲐᲜ. ᲔᲡ�პᲐᲜᲣᲠ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲨᲘ ᲛᲐᲛ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘ ᲨᲐᲜᲡᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲓᲐ ᲛᲝᲘ�გᲝ.

ᲧᲐᲘᲛᲘᲗ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲖᲐᲰᲐᲠᲘᲐᲜ — ᲖᲘᲚᲑᲔᲠᲘᲡ, ᲑᲝᲘᲐᲠᲘᲜᲝᲕ — ᲕᲐᲚᲘᲔᲕᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘ.

ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲐ.

IV ᲢᲣᲠᲨᲘ ᲡᲣᲔᲢᲘᲜᲛᲐ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲘᲔᲠᲘᲨᲘᲗ ᲓᲐᲐᲛᲐᲠᲪᲮᲐ ᲖᲘᲚᲑᲔᲠᲘ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲐ ᲒᲐᲜᲘᲪᲓᲐ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲛᲔᲝᲠᲔ ლიდერი — ᲐᲨᲮᲐᲑᲐᲓᲔᲚᲛᲐ ᲕᲐᲚᲘᲔᲕᲛᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲮᲝᲓᲝᲡᲛᲐ ᲛᲝᲗᲣᲒᲝ. ᲛᲣᲮᲘᲜᲛᲐ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲐ ᲑᲘᲠᲑᲠᲐᲒᲔᲠᲗᲐᲜ.

ᲒᲐᲤᲠᲘᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ ᲞᲔᲢᲔᲠᲡᲝᲜᲡ. ᲠᲘᲒᲔᲚᲘᲡ ᲝᲡᲢᲐᲢᲛᲐ ᲡᲘᲪᲘᲚᲘᲣᲠᲘ ᲓᲐᲪᲕᲐᲨᲘ ᲞᲐᲣᲚᲡᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲐᲘᲠᲩᲘᲐ ᲓᲐ ᲣᲐᲠᲔᲡᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲘᲒᲘ ᲨᲔᲣᲞᲝᲕᲠᲐᲓ ᲘᲪᲐᲕᲓᲐ თავს. მეხუთე საათზე პეტერსონმა შეძლო თამაშის გათანაბრება და მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ. გურგენიძე — ზახარიანის პარტია არ დამთავრებულა. იგი გადაიდო საქართველოს ჩემპიონისთვის უკეთეს მდგომარეობაში. დაუთავრებელი დარჩა სხვა ოთხი პარტიაც.

4 ტურის შემდეგ დიდოსტატ ა. სუეტინს — 3 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს. საერთაშორისო ოსტატ ნ. გაფრინდაშვილს — 2,5 ქულა და 1 გამოტოვებული პარტია; ოსტატებს ა. პეტერსონსა და ი. ზილბერს, აგრეთვე ო

წყლის სჯიქიასთან ჭიდილში...

სპორტის ოსტატი ზ. გვასალია მორიგ ვარჯიშს ატარებდა „განთიადის“ აუზში, როცა მტკვრის მარჯვენა ნაპირიდან შეშფოთებულ ადამიანთა ხმა მოესმა. მშველელს ითხოვდნენ. მდინარეს თავის ტალღებში ჩაეთრია ადამიანი და დაღუპვით ემუქრებოდა. გონებადაკარგული, ძალაგამოცლილი მსხვერპლი თანდათან ნებდებოდა წყლის სტიქიას. ადამიანის სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. მოფიქრების დრო არ იყო. გვასალია სწრაფად გადაეშვა ტალღებში და წყალწაღებულს აეღებინა. ძალზე ჭირდა მიზნის მიღწევა, რადგან მსხვერპლს მდინარე მხოლოდ დროდადრო გამოაჩენდა ხოლმე.

თანდათან ახლოვდებოდა ჩანჩქერი, საჭირო იყო მანამდე მოესწრო მშველელს, თორემ ადამიანი დაიღუპებოდა. იძალა გვასალიამ, წამოიწია წყალწაღებულს, თმებში წვდა და ნაპირზე გამოიყვანა. ღონემიხდილმა დაზარალებულს თვითონვე აიმოუჩინა პირველი დახმარება. [illegible] ... [illegible] თანამშრომელი, ორი შვილის დედა, 28 წლის ე. გიგელაშვილი აღმოჩნდა.

თ. გაჩეჩილაძე



მთელი კოლექტივის აქტიური მონაწილეობით თბილისის ქარხანა „ელექტროავტომატის“ ტერიტორიაზე აიგო ახალი საცურაო აუზი. ფიზკულტურელის საკავშირო დღესთან დაკავშირებით იგი ადგილობრივ სპორტსმენთათვის საუკეთესო საჩუქარია.

სურათზე: შეჯიბრების მომენტი ახალ აუზში.

ფოტო გ. კოკვაძისა (საკდესი).

ფეხბურთი

„ბ“ ჯერადი

რსფსრ-ს IV ზონა

„ალაზანი“ (გურჯაანი) — „დინამო“ (სტავროპოლი) 1:2

გურჯაანი, 7 აგვისტო. (ტელეფონით ჩვენ კორ.). აქ გაიმართა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის რსფსრ-ს IV ზონის გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ალაზანი“ და სტავროპოლის „დინამო“.

შეხვედრა დამთავრდა სტუმრების გამარჯვებით — 2:1.

„მეტალურგი“ (რუსთავი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 2:2

რუსთავი, 7 აგვისტო. (ტელეფონით ჩვენი კორ.). რუსთავის „მეტალურგი“ გათამაშების ცხრილში ორჯონიკიძის „სპარტაკზე“ საკმაოდ წინ იმყოფებოდა, მაგრამ განსხვავება ქულებში შეადგენდა სულ 3 ერთეულს. ამიტომ მასპინძლებს აუცილებლად ჭირდებოდათ ქულები საიმედო მარაგის შესაქმნელად.

მაგრამ... „მეტალურგი“ აგებდა 0:2-ს და მხოლოდ შესვენების შემდეგ მიაღწია ფრეს — 2:2.

* * *

ჩვენი რესპუბლიკის სხვა გუნდებს გასვლითი მატჩები ჰქონდათ. ბათუმის დინამოელები თამაშობდნენ ქ. კაფანში ადგილობრივ „ლერნაგორცთან“.

მატჩი დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 1:0.

ლენინაკანში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „შირაკი“ და სოხუმის „დინამო“. გაიმარჯვეს სოხუმელებმა — 3:2.

კიროვაკანის „ლორისა“ და ფოთის „კოლხიდის“ მატჩი, რომელიც კიროვაკანში შედგა, დამთავრდა „ლორის“ გამარჯვებით — 1:0.

„ბ“ კლასი

I ჯგუფი
გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 8 აგვისტოსთვის

	თ.	ბ.	ქ.
„ტორპედო“ მ.	16	33—11	23
„დინამო“ თბ.	18	23—17	23
ცსკა	17	26—13	22
„სპარტაკი“	17	23—12	22
„დინამო“ კ.	18	26—17	22
„შახტიორი“	17	22—13	21
სკა	16	25—13	20
„დინამო“ მნ.	17	8—7	18
„ვოლგა“	19	11—23	17
„დინამო“ მ.	16	13—11	15
„კაირატი“	17	15—18	14
„კრ. სოვეტოვი“	17	6—16	14
„ნეფტიანიკი“	18	11—19	13
„შინიკი“	17	13—28	13
„ტორპედო“ ჯ.	18	9—24	13
„მოლდოვა“	17	9—19	11
„ზენიტი“	17	12—24	11

• • •

„ზენიტი“ — „ნეფტიანიკი“ 1:0, „დინამო“ (მინსკი) — „კრ. სოვეტოვი“ 0:0, „შინიკი“ — „დინამო“ (მოსკოვი) 0:0, „ვოლგა“ — „მოლდოვა“ 1:0.

„ლოკომოტივის“ გამარჯვება

გუშინ თბილისელმა სპორტის მოყვარულებმა პირველად ნახეს საბერძნეთის ფეხბურთელთა თამაში. ეს იყო „პანიონიოსი“, რომელიც „დინამოს“ სტადიონზე შეხვდა ჩვენს ლოკომოტიველებს.

თუ გავითვალისწინებთ „პანიონიოსის“ კარგ შედეგებს ბოლო საერთაშორისო შეხვედრებში, თბილისელთა თამაშსა და მატჩის შედეგზე მხოლოდ კარგი გვეთქმის. ასამბლს სწრაფად შეეწყვნენ კოლექტივის ახალი წევრები თ. მელაშვილი და გ. მუმლაძე, გუნდი თამაშობდა მონდომებით, მაღალ ტემპში, აგრესიულად.

ანგარიში პირველსავე წუთზე გახსნა მელაშვილმა. მე-15 წუთზე კომბინაცია ახალკაცი — იაშვილი მეორე გოლით დამთავრდა და მხოლოდ ტაიმის დასასრულს შეძლო სტუმრების ცენტრალურმა თავდამსხმელმა აფანასულასმა საპასუხო ბურთის გატანა — 1:2.

შესვენების შემდეგ აპრესიაპა მესამე ბურთი გაგზავნა მეტოქის კარში და თბილისის „ლოკომოტივმა“ ანგარიშით 3:1 დაამარცხა საბერძნეთის ჩემპიონატში მეოთხე ადგილზე გამოსული „პანიონიოსი“.

ჯ. ვაჩიბერიძე

სსრ კავშირის თასზე

მოსკოვი, 6 აგვისტო. სსრ კავშირის თასის გათამაშების მერვედფინალურ მატჩში დღეს აქ ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „სპარტაკისა“ და ალმა-ატის „კაირატის“ ფეხბურთელები.

სპარტაკელებმა თამაში მოიგეს მინიმალური ანგარიშით — 1:0. ახლა მერვედფინალიდან ჩასატარებელი დარჩა 2 მატჩი. 10 აგვისტოს ერთმანეთს ხვდებიან „დინამო“ (კიევი) — „ნეფტიანიკი“, ხოლო **15 აგვისტოს — „დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი).**

6 მატჩი

ჩატარდა მორიგი მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში. მოგვყავს შეხვედრათა ტექნიკური შედეგები: „ცისკარი“ (ცხაკაია) — „დინამო“ (ქუთაისი) 1:2, „მაღაროელი“ (ჭიათურა) — „დილა“ (გორი) 0:1, „მეშახტე“ (ტყვარჩელი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 0:0, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ენგურჰესი“ (ზუგდიდი) 0:1, „შუქურა“ (ქობულეთი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 0:1, „მესხეთი“ (ახალციხე) — „გურია“ (ლანჩხუთი) 3:2.

◆ ერთ ფეხბურთელში — ორი

იტალიის ფეხბურთელთა პოპულარული კლუბების — „მილანისა“ და „რომას“ ხელმძღვანელები მოლაპარაკებას აწარმოებენ მოთამაშეთა გაცვლის თაობაზე. ინიციატივა ეკუთვნის „მილანს“, რომელმაც მოისურვა განთქმული ფეხბურთელის ანჯელილოს შეძენა. „რომას“ მეცენატებმა მცირედი ყოყმანის შემდეგ კონტრწინადადება წამოაყენეს: ანჯელილოში ორი ფეხბურთელი — დავიდი და მალდინი!

როგორც ჩანს, „მილანი“ ამ პირობამ არ დააფრთხო. ყოველ შემთხვევაში, მოლაპარაკება გრძელდება და ფიქრობენ, რომ იგი ორივე მხარისთვის დადებითად გადაწყდება.

◆ „სნაიპერების მეფის“ მოტაცება

ახალგაზრდა ფორვარდი ნესტორ კომბენი მეტად საყურადღებო ფიგურაა ფრანგულ ფეხბურთში. ფრანგებს ფიფა-სთან დიდი ომის გადატანა დაჭირდათ, რათა მას კომბენისთვის, რომელიც არგენტინაშია დაბადებული, თავის ეროვნულ ნაკრებში თამაშის უფლება მიეცა. მაგრამ როგორც კი კომბენმა ეს უფლება მიიღო და ცენტრფორვარდის ადგილი დაიკავა, მას უცხოელმა გადამყიდველებმა მიაპყრეს თვალი.

კომბენს, რომელიც წლევანდელ სეზონში ერთ-ერთი ყველაზე უფრო შედეგიანი თავდამსხმელია ევროპაში (მან საფრანგეთის ჩემპიონატში, „ლიონის“ შემადგენლობაში, 39 გოლი გაიტანა), განსაკუთრებით ჩააცივდა ტურინის „იუვენტუსი“. სარეკორდო თანხით — 900 ათასი ახალი ფრანკით „იუვენტუსმა“ გადაიბირა კიდეც წლევანდელი „სნაიპერების მეფე“.

◆ „რეალი“ ეძებს გამოსავალს

ესპანეთის ჩემპიონი ფეხბურთში „რეალი“, რომელიც მიმომხილველთა აზრით, ვეტერანებითაა გადატვირთული, მდგომარეობიდან გამოსავალს ეძებს.

„იუვენტუსიდან“ მადრიდში დაბრუნდება „რეალის“ ყოფილი წამყვანი მოთამაშე დელ სოლი. „რეალი“ ცდილობს გადაიბიროს თავისი ჭაბუკთა გუნდის ყოფილი მოთამაშე, შემდეგ კი „სარაგოსას“ შემადგენლობაში დაწინაურებული ვილიაც.

უცხოეთის სპორტულ სამყაროში

სასიხარულო შედეგები

ლვოვი. ჭაბუკ მოცურავეთა აქ გამართულ საკავშირო ასპარეზობაში „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე მონაწილეობდა 30 ქალაქის 478 სპორტსმენი. შედეგებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა — სპორტის ოსტატის 20 და პირველი თანრიგის 200-ზე მეტი მაჩვენებელი!

მოსკოველმა ა. პლეტნიოვმა 1.500 მ თავისუფალი სტილით გაცურა 18.01,6, რაც მის ამასწინანდელ საკავშირო რეკორდს (ჭაბუკთათვის) 15,2 წამით ჯობს.

ჭაბუკთა ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა ა. დუნაევმაც (მოსკოვის „სპარტაკი“) — 400 მ თავისუფალი სტილით — 4.36,6.

საერთო გუნდური პირველობა (ორივე ეტაპის ჯამში — მოზრდილთა და ჭაბუკთა შორის) მეოცედ მოიპოვა „დინამომ“.

კიდევ ერთი საერთაშორისო დიდოსტატი

ბუენოს-აირესი. როგორც ცნობილია, ამას წინათ აქ დამთავრებული საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი საბჭოთა დიდოსტატების — ტ. პეტროსიანისა და პ. კერესის გამარჯვებით აღინიშნა. III ადგილი მოიპოვა რ. ბირნმა — 11,5 ქულა. მომდევნო ადგილებზე არიან არგენტინელები: მ. ნაიდორფი — 11, კ. გიმარი — 10 და ე. ელისკაზესი — 9,5. 9-9 ქულა აქვთ ხ. გარსიას (კუბა), მ. ფილიპს (ჩეხოსლოვაკია), ჟ. ბოლბოჩანსა და გ. პილხიკს (ორივენი — არგენტინიდან). რობერტ ბირნმა, რომელმაც მხოლოდ ერთი პარტია წააგო (მსოფლიო ჩემპიონ პეტროსიანთან), შეასრულა საერთაშორისო დიდოსტატის ნორმა.

ჭადრაკი ჯგუფები

● ლეიტკირჩი. აქ მიმდინარე მსოფლიო პირველობაზე საპარაშუტო სპორტში გდრ-ის სპორტსმენმა ჰ. შაალმა მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა 1.000 მეტრიდან წრის ცენტრში ზუსტად დაშვებაში. მან ქულათა მაქსიმალური რაოდენობა — 400 დააგროვა. ჩემპიონატის მეორე პრიზიორი გახდა საბჭოთა სპორტსმენი ო. კაზაკოვი (399,173 ქულა). მესამე ადგილზეა ფრანგი პ. არასიუ (398,921).

● კანადაში მწვავე ბრძოლით ხასიათდება ტრადიციული საერთაშორისო მრავალდღიანი ველოსრბოლა „სან-ლორანი“. XII ეტაპის (ტრუა-რივიერი — კვებეკი, 120 მილი) შემდეგ რბოლის ლიდერია ბელგიელი ანდრე დენე — 50:01.49. საბჭოთა ველოსიპედისტი კულიბინი IV ადგილზეა (50:05.28), ხოლო კაპიტონოვი — მეექვსეზე (50:06.51). გუნდურ ჩათვლაშიც წინ არიან ბელგიელები. სსრ კავშირის სპორტსმენებს მესამე ადგილი უკავიათ.

● ტელ-ავივი. ისრაელის ჩემპიონი ფეხბურთში გახდა „აპოელი“ (რამატ-განი), რომელმაც 1 ქულით გაუსწრო „მაკაბის“.

მეტოქენი

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის საშტაბი ბინაზე ლოზანაში (შვეიცარია) მოხდა 1964 წლის ოლიმპიური თამაშების საფეხბურთო ფინალური ტურნირის კენჭისყრა. 16 მონაწილე დაიყო 4 ჯგუფად.

I ჯგუფი: გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ირანი, მექსიკა, რუმინეთი; **II ჯგუფი:** იუგოსლავია, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, უნგრეთი, მაროკო; **III ჯგუფი:** ჩეხოსლოვაკია, სამხრეთ კორეა, ბრაზილია, არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკა; **IV ჯგუფი:** იტალია, იაპონია, არგენტინა, განა.

TOKYO 1964

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: თბილისი — 8, ლენინის ქ. № 14, **დეპეშებისთვის** — თბილისი, „ლელო“. **ტელეფონები:** რედაქტორი — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივანი და სპორტული განყოფილება — 3-35-09, ქვესადგური (3-15-00-დან 09-მდე)—პასუხისმგებელი მდივანი — 5-30, სპორტული განყოფილება — 5-41, მასობრივ-ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 5-14, ფოტოლაბორატორია—5-16, მემანქანეთა ბიურო—5-11, გამომშვები—3-81.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

УЭ 05976